რუსეთისა და კავკასიის ბიპოლარული მხატვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში
Bipolar Tropology of Russia and the Caucasus in the 19th century In Georgian literature

ცირა ბარამიძე
Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javahishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, XIX საუკუნე, რუსეთი, კავკასია, მხატვრული სახე.
Keywords: Georgian literature, XIX century, Russia, Caucasus, Tropology.

საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ეროს მიერ დღეს დეკლარირებულია ევროპული კურსი, როგორც გეოპოლიტიკური გზა, ღირებულებათა კონტექსტით შეპირობებული. ამის მიუხედავად, საზოგადოების ნაწილის წინაშე დღესაც მწვავედ დგას ცივილიზაციური არჩევანის ესტიმაციური პრობლემა. იმავდროულად, არსებობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის წინაშე არსებული გამოწვევები. ამგვარი გამოწვევები შეპირობებულია ორი საუკუნის განმავლობაში არსებული გეოპოლიტიკური ხედვებითა და, საზოგადოდ, საქართველოს, როგორც კავკასიური სახელმწიფოს, ისტორიული ხედვებით. ამ გამოწვევათა სათავე სწორედ XIX საუკუნეა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991) თავისუფლების მოპოვების გზაზე ქართველი ეროსთვის მნიშვნელოვანი ხდება ნატოსა და ევროკავშირის სტრუქტურები, რომელთა არსი განიხილება საქართველოსთან მათი თანამშრომლობის ჭრილში და, იმავდროულად, რუსეთის მიერ შექმნილ ევრაზიულობის „ახალ“ გეოპოლიტიკურ მოდელთან საპირისპირო კონტექსტით. ამიტომაც რუსეთის მხრიდან აქტიური და მოწყლვადია დღეს, ისევე, როგორც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების ნაწილი რუსული (დღეს უკვე ევრაზიული) ნარატივით, რომ „რუსეთი არის მხსნელი საქართველოსთვის“, არის ცივილიზაციის შემომტანი, ერთმოწმუნე, კულტურტრეგერი... ეს განწყობა ხშირ შემთხვევაში დღესაც იწვევს საზოგადოების პოლარიზებას არსებითი, კარდინალური საკითხის საფუძველზე და ეს საკითხი არის ცივილიზაციური არჩევანი – ევროპის კავშირი თუ ევრაზიული კავშირი? პირველი ასოცირდება თავისუფალ და წარმატებულ სამყაროსთან, მეორე – ნეოკოლონიალისტურ მომავალთან, რომელიც არის კიდეც წარსულში დაბრუნება.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ XIX საუკუნის, როგორც ეპოქათა მიჯნის, კულტურულ-ცივილიზაციური ასპექტები. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ეს ასპექტები შეპირობებულია გეოპოლიტიკური რეალობით; გეოპოლიტიკური ცვლილებები კი ყველაზე მკვეთრად აისახება სწორედ ლიტერატურაში. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა სარკისებურად ასახავდა დაბნეული,

„გზასაცდენილი“ ერის სულიერ მდგომარეობას, ერისა, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომად გადაქცევით, შეიძლება აიღო ტაიმ-აუტი, აღმოსავლეთის შემოტევებისაგან დაუძლურებულმა, მაგრამ დაკარგა სახელმწიფოებრიობა. საზოგადოებაში ჩნდებოდა ნარატივი – თითქოს ეს ტაიმ-აუტი უზრუნველყოფდა ერის ფიზიკურ გადარჩენას და ესეც ფუნქციად მიაჩნდათ, მაგრამ მხოლოდ ხორციელი გადარჩენა არ იყო ქართველი ერის ისტორიული ფუნქცია, ის გაცილებით მეტი იყო, გამომდინარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან და მებრძოლი ერის თვისებებიდან, სწორედ ამ ფუნქციამ გადაარჩინა კიდეც ისტორიულ ქარტეხილებს საქართველო. XIX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურა ასახავს ფუნქციადაკარგული ერის სულიერ მდგომარეობას. იმდროინდელი ქართველის აღქმის ობიექტი კი არის მასშტაბური და დამაბნეველი: რ უ ს ე თ ი და კ ა ვ - კ ა ს ი ა ქართულ ლიტერატურაში იძენდა ბიპოლარულ სახეს, კერძოდ, რუსეთი – მხსნელი თუ დამპყრობელი? კავკასია – მოძმე თუ მოყვარე?

განვიხილავთ რუსეთისა და კავკასიის ბიპოლარულ მხატვრულ სახეებს XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რეალობის გათვალისწინებითა და ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. გვსურს აიხსნას, თუ რა სახის ცვლილებები გამოიწვია ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და მანამდე იმ პროცესებმა, რომელთა შედეგადაც გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველომ ერთგვარად მიუხურა კარი აღმოსავლეთს და ახალი გეოპოლიტიკური არეალის წევრი გახდა; საჭიროა აიხსნას, თუ როგორ გაიყო ქართული საზოგადოებრივი აზრი (მამათა და შვილთა ბრძოლა) კავკასიაში რუსეთის შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ; რა შედეგი გამოიღო საქართველოს მიერ უნივერსალური ქრისტიანული ისტორიის სასარგებლოდ საკუთარი სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნებსით თუ უნებლიეთ დათმობამ. როგორ აისახა ქართულ მწერლობაში, რომ „რუსულ მართლმადიდებლურ მესიანიზმს“

არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ ქრისტიანობასთან და, უფრო მეტიც, ქართულ ეროვნულ სულთან.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ზედმიწევნით კარგად ასახავდა ეპოქათა მიჯნაზე მიმდინარე კულტურულ-ცივილიზაციურ პროცესებს, ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის ნეგატიურ შეფასებას რუსეთის მხრიდან და, შესაბამისად, არსებულ ისტორიულ გეოპოლიტიკურ რეალობას. ლიტერატურა ასახავდა დაბნეული და უიმედო ქართული საზოგადოების კრიზისს ცივილიზაციური კონტექსტის წინაშე გაურკვევლობის გამო. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ცივილიზაციური კრიზისის დაუძლევლობამ (და, განსაკუთრებით, ილიას მკვლელობამ) შეაპირობა XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლეობა და ახალი სულიერი კრიზისი, ცივილიზაციურ კრიზისთან ერთად. XIX საუკუნე გეოპოლიტიკური ცვლილებების ეპოქაა და ეს ცვლილებები და ქართული საზოგადოების კრიზისი აისახა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში რუსეთისა და კავკასიის ბიპოლარული მხატვრული სახეებით.

კავკასიის ექსპანსიის პროცესებით რუსეთმა დააყენა საკითხი, რომ კავკასია „ველური“, „ჩამორჩენილი“, განუვითარებელი ხალხების საცხოვრისია, თავად რუსეთი კი კავკასიაში ცივილიზაციის შემომტანად წარმოგვიდგებოდა – ასეთ ნარატივს ამკვიდრებდა რუსეთის იმპერია. რუსეთის იმპერიის მთავარი ამოცანა – ექსპანსია, მიმართული ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ – გულისხმობდა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ კულტურულ-ცივილიზაციური ამოცანების განხორციელებასაც, რაც წარმოადგენდა ამ იმპერიის იდეოლოგიურ სარჩულს.

კავკასია „მცირე“ ერების სამშობლოა, საქართველო კი – კავკასიის მიკრომოდელი. მცირე ერებმა იციან ისტორიის წინაშე კაპიტულაციის სიმწარე და საკუთარი გზის დასასრულის ავისმომასწავებელი შესაძლებლობა. სასოწარკვეთილი ერი ხშირად ეძიებს „მხსნელს“, ამის კვალობაზე ქმნის მკვდრადშობილ ილუზორულ პროექტს (როგორიც, მაგალითად, გეორგი-

ევსკის ტრაქტატია), ეძიებს ისტორიულ სამართლიანობას და, საზოგადოდ, ეძიებს საკუთარ გზას, ხშირად საკუთარი თავის გარეთ. ქართველობას კი ამ ისტორიულ მოვლენაში (რუსეთის ე.წ. მფარველობაში) უნდა დაენახა ქვეყნის ხსნის გზა. ამ მიზნის მისაღწევად მუშაობდა რუსეთის იმპერიის იდეოლოგიური მანქანა. ქართული მწერლობა კი, ზოგიერთ შემთხვევაში, XIX საუკუნის დასაწყისიდან ექცევა ამ იდეოლოგიური მანქანის გავლენის ქვეშ.

ახალი გეოპოლიტიკური კონტექსტი XIX საუკუნიდან საქართველოს წარმოადგენდა რეგიონული კონტექსტიდან ამოგდებულ სივრცედ და უკვე არა სახელმწიფოდ, რადგან რუსეთის იმპერიაში შემავალი ორი გუბერნია (თბილისისა და ქუთაისისა) ეროვნული სახელმწიფოს ჩანასახსაც კი აღარ შეიცავდა, ხოლო ჩრდილო კავკასია XIX საუკუნის მე-2 ნახევარშიც კი აგრძელებდა ბრძოლას რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

ქართველ ხალხს ჰქონდა რწმენა, რომ რუსული მართლმადიდებლური იდეა მესამე რომის იდეაა, ხოლო დასავლეთის ქრისტიანობა მტრის ხატად არის წარმოდგენილი და დასავლეთის დემონიზაცია რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე მჭრელი იარაღია (რბილი ძალა). რაზეც ახლა ვსაუბრობ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გახდა ნათელი და, რაც ძალზე საყურადღებოა, სწორედ უბრალო ხალხმა (და არა არისტოკრატიამ) იგრძნო თავის თავზე. მთიულეთისა და კახეთის აჯანყებებმა აუწყეს ქვეყანას, რომ „რუსულ მართლმადიდებლურ მესიანიზმს“ არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ ქრისტიანობასთან და, უფრო მეტიც, ქართულ ეროვნულ სულთან.

რუსეთის იმპერიულმა, გიგანტურმა ბიუროკრატიულმა მანქანამ ყველაფერი გააკეთა ორი საუკუნის განმავლობაში, რომ ერეკლე მეორის ისტორიული გადაწყვეტილება ქართველი ერის კვდომის ინერციად გადაექცია, ერის ასიმილაციისა და სულიერი ხრწნის, გადაგვარების „ლოგიკურ სათავედ“ დაესახა დაბრმავებული ან მოტყუებული და იმედგაცრუებული ქართული არისტოკრატიისათვის. არისტოკრატია კი, რომელსაც ევა-

ლებოდა ერზე ზრუნვა, ინსტიტუციური ქმედებები, ვეღარ ასრულებდა ამ ფუნქციას, რადგან ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა სახელმწიფო არსებობს, სახელმწიფო კი უკვე ანულირებული იყო და, შესაბამისად, ფუნქციადაკარგული არისტოკრატია რუსულ მუნდირს იცვამდა და მის სამსახურში განეწესებოდა. მუნდირის ქვეშ თუ ჯერ კიდევ ფეთქავდა, ქართული გული და გონება ჯერ კიდევ ქართული იყო, სწორედ ეს გაორება – ფორმობრივ-შინაარსობრივი – იწვევდა პიროვნულ გაორებას და ტრაგიკულს ხდიდა თავად ამ პიროვნებებს ქვეყანასთან ერთად. მათი შემოქმედება – ლიტერატურა – აღსავსეა სწორედ ასეთი გაორებით – ს ა კ უ თ ა რ ი ე გ ო ს გ ა ნ ხ ი ლ ვ ა ს ა კ უ თ ა რ ი ე გ ო ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ – აი, ასეთად მესახება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება უგამონაკლისოდ.

ალ. ჭავჭავაძე ამხელს და გველეშაპს უწოდებს რუსეთის იმპერიას და „ურვისგან გულშეპყრობილს“ არც ამ იმპერიის მიღება სურს და ვერც მის მსახურებაზე უთქვამს უარი. 1804 წელს ის მონაწილეა მთიულეთის აჯანყებისა, 1812 წელს კი კახეთის აჯანყების ჩამხშობია რუსის მუნდირით. ქართული საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად და დაიწყო მამათა და შვილთა ბრძოლა. რუსეთის იმპერიის მიერ არშემდგარი ერის იმიჯის შექმნა იყო 1832 წლის შეთქმულება. ქართულმა არისტოკრატიამ, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანა დაებრუნებინა პოლიტიკურ ორბიტაზე, ურთიერთგაუტანლობით, დაპირისპირებითა და გამყიდველობით „დაუდასტურა“ რუსეთის იმპერიას, რომ ქართველი ერი „ჩაბარდა“ და როგორც ასეთი, „ქართველი ერის“ ცნებაც კი აღარ არსებობს. ეს უმწეობა აისახა უიმედო და უპერსპექტივო რომანტიკოსების შემოქმედებაში, რომელნიც, ერთი მხრივ, საწუთროს გმობდნენ, მეორე მხრივ კი, რუსეთის იმპერიის მუნდირები ეცვათ და ემსახურებოდნენ ამ იმპერიას (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი...). ქართულმა არისტოკრატიამ დაკარგა ისტორიული სინამდვილის აღქმა და ერთადერთ მხსნელად დამპყრობელი დაისახა. მაგრამ, „მხსნელის“ პოვნის მიუხედა-

ვად, იმავდროულად, მიიჩნევდა, რომ ქართველი ერის აღსასრული დგებოდა. კვლავ ამუშავდა რუსული იდეოლოგიური მანქანა და იპოვა კიდეც ნოყიერი ნიადაგი ქართულ საზოგადოებაში – გააჩინა ნიჰილიზმი, რომელიც ერის აღსასრულის მაუწყებელია, ნიჰილიზმი, რომ ქართული საზოგადოება არშემდგარი საზოგადოებაა, მას არ შეუძლია არც საკუთარი თავის მართვა და არც ახალი აზრისა და იდეის შობა. ქართული დროშა ცირკისთვის უნდა გადაგვეცა, ქართული სახელმწიფოებრიობა არც არასოდეს არსებულა და ახლა ხომ იმედიც უნდა მომკვდარიყო, რომ ოდესმე შედგებოდა. ქართველ ერს აღარ ჰქონდა აწმყო და, მით უმეტეს, მომავალი, ხოლო წარსული სამუზეუმო ექსპონატად უნდა ქცეულიყო. და კიდევ, დამორჩილებულ ისტორიულ საქართველოს, აწ უკვე ორ გუბერნიას, უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი დაუმორჩილებელი ჩრდილოკავკასიის (მუსულმანური) საბოლოო დამორჩილების საქმეში ასწლიანი წინააღმდეგობის შემდეგ. „დაყავი და იბატონეს პოლიტიკა“ ყველაზე ნათლად სწორედ აქ, კავკასიაში, გაცხადდა XIX საუკუნეში და ეს გრძელდება დღესაც. კონფესიური ნიშანი აქაც „წარმატებით“ იქნა გამოყენებული. ქართული სახელმწიფოს[1] დემონტაჟი ქართული სულის საბოლოო გაქრობით უნდა დასრულებულიყო და ეს იქნებოდა „მაგალითი“ დანარჩენი კავკასიისთვის, რომ კავკასია მთლიანად უნდა ასიმილირებულიყო, რაც დღემდე ხორციელდება ყველაზე მეტად ენობრივი პოლიტიკით, რომელიც რუსეთის მიერ კავკასიაში გატარებული ასიმილატორული პოლიტიკის მაგისტრალური ხაზია.

ქართული საზოგადოების ურთიერთთანხმობა გააქრო რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის დასაწყისში – ესაა ურთიერთდაპირისპირებული არისტოკრატია და „ხიდჩატეხილი“ ქართველი ერი – თავადები და გლეხები. პოლარიზაციის მექანიზმს – თაობათა და პოზიციათა დაპირისპირებას, საზოგადო-

[1] არადა, კავკასიის ქვეყნებს შორის ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია ყველაზე ხანგრძლივი იყო.

ების გახლეჩას იყენებდა და იყენებს დღესაც რუსეთი თავისი გეოპოლიტიკური ზრახვების განსახორციელებლად.

მიძინებული, ისტორიის ნირვანასა და კვდომას შეგუებული ერი, იმდროინდელი ინტელექტუალურ-არისტოკრატიული სალონები, ფსევდოქართული განწყობითა და ყალბი მანერებით, გრიგოლ ორბელიანისეული პომპეზური მეტყველებით, „ოქროს ჯაჭვით, რომელიც თავისუფლებას სჯობდა“, ადასტურებდა, რომ ქართველი ერის კვდომა დაწყებული იყო. კავკასია ქართველთათვის არ იყო სახლი, ბუნებრივი საცხოვრისი და უფრო მეტიც, საკუთარი სამშობლოც აღარ იყო სახლი, რადგან ის არსებობდა მხოლოდ რუსულ მუნდირქვეშ გატრუნული ქართველის ნაჭუჭში და ქართველი მის გარეთ ვერაფერს ხედავდა. ქართველთა ისტორიული ბრძოლის ჟინი ბრძოლის იმიტაციაც კი აღარ იყო, ისტორიის ქარტეხილებზე ბრძოლის ნაცვლად აზარფეშებითა და შექცევა-სადღეგრძელოებით, დაჩლუნგებული ეროვნული ცნობიერებით ქართველობა ულაგამო და უსადავო რემასავით ხნარცვს მიექანებოდა, თანაც სჯეროდა, რომ ხსნის გზა რუსეთი იყო. ქართული კულტურისა და სულიერების ხრწნადობის გროტესკული სინთეზური სახე--სიმბოლო – ლუარსაბ თათქარიძე – განასახიერებს ქართველ ერს, რომელიც უარს ამბობს გვერდზე გადაბრუნებაზე, მოძრაობაზე, სინათლეზე, საზოგადოდ, არსებობასა და საკუთარ თავზე. ილიას ისტორიული განაჩენი ქართველი ერისადმი სწორედ ლუარსაბია. და რა აქვს მას ქართული? ხსოვნა, რომ ქართველია, კაცია... მაგრამ არის კი? რა არის მისი არსება? რა არის მისი სულის დინამიკა? უმოქმედობა, არყოფნაა ყოფნაში და თვითმკვლელობა.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობამდე საქართველოს ხუთასწლოვანი ისტორია იყო ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლა. ქართულ კულტურას, ისტორიული ქარიშხლებით შეშინებულს, ინახავდა ქართული სული. ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ აზროვნებას ყოველთვის სრულყოფილად ესმოდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის ის-

ტორიული მისიის აუცილებლობა, როგორც ერთადერთი ფორმა ერის არსებობისა. აი, სწორედ ეს ე რ ო ვ ნ უ ლ - პ ო ლ ი - ტ ი კ უ რ ი აზროვნება მოსპო XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილმა რეალობამ და სწორედ ამიტომ ვსახავ XIX საუკუნეს ეპოქათა მიჯნად აზროვნებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების ფორმობრივ-შინაარსობრივ კავშირში რომ აისახა. განცდა – რუსეთისა და კავკასიის ორმაგი სტანდარტით აღქმა – ეს იყო იდეოლოგიური ბრძოლის შედეგი: საზოგადოების ნაწილი თვლიდა, რომ რუსეთი მხსნელი იყო, ნაწილი კი თვლიდა, რომ რუსეთმა მოგვისპო სახელმწიფოებრიობა და, შესაბამისად, მოგვისპო განვითარების შანსი. საზოგადოების ამ ნაწილისათვის რუსეთი არ იყო ცივილიზაციის შემომტანი. ბიპოლარული, ლაბილური კონდიცია რუსეთის შესახებ გვხვდება ერთსა და იმავე ავტორთანაც კი. თუ 1832 წელს გრ. ორბელიანი ლექსში „იარალის“ დაეძებს გმირს, რომელიც უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს, პოემა „სადღეგრძელოში“ იგი იმპერატორ ნიკოლოზს შესთხოვს, თამარისდროინდელი დიდება აღუდგინოს საქართველოს... თუ ნიკოლოზ ბარათა-შვილი პოემა „ბედი ქართლისაში“ ერთგვარად გვავარაუდებინებს, რომ სოლომონ ლეონიძის პოზიციაა უფრო მისაღები და სახელმწიფოს სჯულის ერთობა არარად არგებს, თუ ერთა შორის თვისება განსხვავებულია, ან რა ხელს ყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული... ანუ თავისუფლების უპირატესობის განცდაზე აკეთებს აქცენტს (1839), სამი წლის შემდგომ დაწერილ ლექსში – „საფლავი მეფის ირაკლისა“ – მეფის ნამოღვაწარის შედეგად კასპიის ზღვიდან მოგვრილი მოყვრების შესახებ გვამცნობს, რომ ამ ღვაწლის ტკბილ ნაყოფს მისი ძენი აუცილებლად მიიღებენ. ცხადია, ყველა რომანტიკოსის ცხოვრებასა და შემოქმედებაში „ორი რუსეთია“: თავიდან – ერთი სახისა, რომელმაც მოსპო მთავარი რამ ქართველი ერისათვის – სახელმწიფოებრიობა; ეროვნული უძლურებისა და უსასოობის განცდამ კი ისინი უკიდურეს პესიმიზმში გადაისროლა. აჯანყებებისა და შეთქმულებების მარცხმა, ურთიერთუთანხმო-

ებამ და ურთიერთღალატმა წინააღმდეგობის მცირე ნაპერწკალიც კი ჩააქრო და ნელ-ნელა იმავე ადამიანების ცნობიერებაში „ჩასახლდა“ შემგუებელი, მიმღები, მორჩილი მეორე მე, რომელმაც თქვა, რატომაც არა... უკვე შეუძლებელია გაძევებული ალექსანდრე ბატონიშვილისგან სამეფო ინსტიტუციის აღდგენა, ესაა ჩვენი ისტორიული განაჩენი და ეროვნული სამოსელი რუსული ოფიცრებისა და გენერლების მუნდირზე გაიცვალა, თავისუფლება – ოქროს ჯაჭვზე... აი, ასე ნელ-ნელა რუსული „პრივილეგიებით“ ქართული არისტოკრატია – ღენერალი გრ. ორბელიანი ილიას სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლის შემდგომაც კი კიდევ უფრო მწვავედ ამბობს ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ თავისი სამშობლოს სულით დაცემის შესახებ და იმედი არა აქვს მომავლისა, ხოლო რამ, ან ვინ დასცა სამშობლო, ამაზე არაფერია ნათქვამი. „შავი დრო“, როგორც თავად გრ. ორბელიანი განმარტავს, თემურ-ლენგსა და შაჰ-აბასს მიემართება. თავისი თანამედროვე იმპერია აქ ალეგორიულადაც კი არაა წარმოდგენილი. მხოლოდ იმის განცდაა, რომ, როგორც თავად აღმოაჩინა შემთხვევით ნადირობისას მიტოვებული და გავერანებული ბეთანია, ასეა ახლა მიტოვებული თავისი სამშობლო... (1877). ბეთანიელი ლაზარეს აღდგინება – სიმბოლურად საქართველოს აღდგინებაც – მას შეუძლებლად მიაჩნია. ვერც უფლის, პურისა და მორჩილების სახლმა – ბეთანიამ – მისცა იმედი და სულის მშვიდობა პოეტს. ასეთია იმპერიის მსახური გენერლის გაორებული ცნობიერი და ქვეცნობიერი, რომელიც, ვფიქრობ, უფრო საკუთარი პენიტენციარული განწყობის – ზნეობრივი დაცემის – გამომხატველია, ისევ საქართველოს ისტორიული სიმბოლოსაკენ – თამარისკენაა მიპყრობილი. ასეთი დაცემული ერის აღდგენა თვით თამარსაც კი აღარ შეუძლია.

ვფიქრობ, რუსეთის ბიპოლარული სახის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ერეკლეს დიდმა ავტორიტეტმა, ხოლო მის შემდგომ რაც მოხდა – რუსეთის მხრიდან ტრაქტატის მუხლების შეუსრულებლობა – ეს ყოველივე

ნელ-ნელა მიეცა დავიწყებას, რადგან რუსული იდეოლოგიური მანქანა ინტენსიურად მუშაობდა ქართველთა ეროვნული ცნობიერების საბოლოო მიძინებისა და წაშლისათვის. რუსეთის იმპერიის ქვეშ ქართველი ერის ეროვნული ცნობიერება შეიცვალა. ეროვნული ცნობიერების გაქრობის ყველაზე კრიტიკულ ისტორიულ მომენტებში საქართველოს მოევლინებოდა სულიერი გმირი, რომელიც გარანტირებული იყო სულიერი მარტოობისა და ტანჯვისათვის, რადგან მარტო მას უნდა ეზიდა თავისუფლების იდეის სიმძიმე, ატროფირებულ საზოგადოებას კი შეეძლო მისთვის ტყვია ესროლა, რადგან ის ამ საზოგადოებას არ სჭირდებოდა. ესეც ნიშანია იმისა, რომ ეს ერი სიკვდილ-სიცოცხლის სარეცლიდან ჯერ კიდევ არ წამომდგარიყო.

ილია ჭავჭავაძემ ქართველ ერს საკაცობრიო ისტორიაში ფუნქცია დაუბრუნა იდეოლოგიურად და ამით მან მოახდინა მისი სულიერი აღდგენა, ხოლო ქართველი ერის სხეული და ზოგჯერ სულის ნაწილიც მას შემდგომ კვლავ არაერთგზის ჩაეთრევა დამპყრობლის მიერ შემოგდებული ნარატივების ბოდვაში, რათა თქვას: „ერთმორწმუნეობაა (ანუ რუსეთია) ჩვენი ხსნა“.

საქართველო კავკასიაა, ის არც ევროპაა და არც აზია. რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობას თან ახლდა მთავარი იდეოლოგია ველური, ჩამორჩენილი ხალხების შესახებ და რუსეთის მიერ აქ – კავკასიაში – ცივილიზაციის შემოტანის შესახებ; გავიხსენოთ პოდპორუჩიკი N, რომელიც ცივილიზაციას რუსის „ღენერლების“ რაოდენობით საზღვრავს. XIX საუკუნის დასაწყისშივე საქართველო ანექსირებული იყო, ჩრდილო კავკასია კი 100-წლიან ომს აწარმოებდა დამპყრობლის წინააღმდეგ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (ჩერქეზთა ომი) და ჩრდილოაღმოსავლეთ კავკასიის (შამილი) წინააღმდეგობის გაერთიანება ვერ მოხერხდა. ქართული მხარე კი ამ წინააღმდეგობაში, სამწუხაროდ, გამოყენებულ იქნა რუსეთის ინტერესების სამსახურში. 18 წლის პრაპორჩიკი გრიგოლ ორბელიანი მონაწილეობას იღებს ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში... დიდი სამხედრო

კარიერის შემდგომაც შამილი გრიგოლ ორბელიანს თავის პირად მტრად მიიჩნევდა. ეს არ ნიშნავს, რომ ორბელიანი მხოლოდ ჩრდილოკავკასიელების წინააღმდეგ იბრძოდა, ის იყო ყველგან, იქ, სადაც მას იმპერია აგზავნიდა, მაგალითად, 1841 წელს მონაწილეობა მიიღო პოლკოვნიკ არღუთინსკის მიერ გურიის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში.

1842 წელს ორბელიანი დაღესტანში იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. მალე ის დააწინაურეს და ხუნძეთის მმართველად დანიშნეს. 15 წელი იმსახურა ორბელიანმა დაღესტანში. ჯერ როგორც სხვადასხვა ოლქის მმართველმა და პოლკის უფროსმა, შემდეგ კი – როგორც დაღესტნის ჯარის სარდალმა. „დაღისტნის მთები“ ქებით გვიყვებიან მისთა დიდ საქმეთა. ასე პასუხობს ის შვილთა თაობას, რაც ნიშნავს, რომ მას სწორად მიაჩნდა რუსეთის ინტერესებისათვის ბრძოლა თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხების დასამარცხებლად. 1857 წელს, გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რუსეთმა მოახერხა შამილის რაზმების წინააღმდეგობის გატეხვა. ეს გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით მოხერხდა მხოლოდ. 1858 წელს მრავალი ორდენით დაჯილდოებული გრიგოლ ორბელიანი ცოტა ხნით პეტერბურგსაც ეწვია, სადაც თავის დაუძინებელ მტერს, შამილს, შეხვდა, რომელიც უკვე დატყვევებული იყო.

ამგვარად, გაორებული, ხშირად დაბნეული და მიძინებული საზოგადოების ცნობიერებაში „მუშაობდა“ შამილის დამმარცხებელი გმირის – გრიგოლ ორბელიანის – დიდების ნარატივი. არსად იყო რეალური მსჯელობა – კავკასიის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის დამმარცხებელი გმირი იყო თუ ანტიგმირი. აქაც კვლავ გავლენას ახდენდა დიდგვაროვანთა დიდი „ავტორიტეტი“ – პოეტი, ქვეყანაზე შეყვარებული... რომელიც, ჩემი აზრით, უნდა შეფასდეს, როგორც ანტიგმირი ლიტერატურული და, გნებავთ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. მის მკერდს ამშვენებდა რუსეთის იმპერატორის უმაღლესი ჯილდო, გრიგოლ ორბელიანი რუსეთის გმირია... მისმა სიცოცხლემ თითქმის მთელ საუკუნეს გასტანა, და, შესაბამისად, ავტორი-

ტეტმაც. რუსული ზარბაზნების გრიალით მიიბარა ქაშუეთის მიწამ პოეტი, რომელმაც ნამდვილად გაყო XIX საუკუნის ქართული ლიტერატურაში კავკასიის სახე და, ფაქტობრივად, არასწორად წარმართა ისტორიული პროცესები, ლიტერატურაში კი ის ასახა სწორედ, რასაც ის ემსახურებოდა. ჩრდილოკავკასიელთა შემუსრვა რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ არა მარტო ზრდიდა კავკასიელი ხალხების, როგორც მტრის, ხატს, არამედ სრულიად არაადეკვატურად წარმოაჩენდა მათ საქართველოს ისტორიული რაკურსის გათვალისწინებით. ესაა რეალობა და ჩვენ მას თვალი უნდა გავუსწოროთ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლეკიანობას, როგორც მოვლენას, დადებითად ვაფასებ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექს „მერანს“ წინ უძღვის წერილი, რომელშიც ავტორი ლექსის ლირიკული გმირის – ილიკო ორბელიანის შესახებ მსჯელობს და ამბობს, რომ ილიკო შამილის ტყვეობაშია და რა უნდა იყოს ამაზე ცუდი. აქ (ქართულ საზოგადოებაში) ბევრი ცრემლი დაიღვარა მის შესახებ, აქვეა მინიშნება, რომ საზოგადოება ორადაა გაყოფილი. ბარათაშვილი იმ პოზიციაზე კი არ არის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის – შამილის – წინააღმდეგ მებრძოლი ილიკო ორბელიანი ანტიგმირია, ავტორი გმირად სახავს ილიკოს და დიდი იმედით მოელის პოზინს, რომელიც მალე ჩამოვა და მოაგვარებს ტყვე ილიკო ორბელიანის გამოხსნას... ავტორის ეს წერილი ოდნავადაც არ ამცირებს ამ ლექსის, როგორც ლირიკული შედევრის, მნიშვნელობას, მაგრამ მისი ქარგა აგებულია სწორედ შამილისა და დარგოში მიმდინარე პროცესების, ვფიქრობ, არასწორ ახსნაზე.

ილიას გამოსვლა სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე იწვევს რეალისტური ფერებისა და მხატვრული სახეების გაჩენას ქართულ ლიტერატურაში. მანამდე ეს არც ერთ მწერალს XIX საუკუნეში არ შესძლებია... „მგზავრის წერილებში“ ილია ჭავჭავაძე თავიდანვე განასხვავებს რუსი დამპყრობლის გროტესკულ სახეებს, რათა შევიცნოთ რუსის რეალური სა-

ხე, ამსხვრევს იმ სტერეოტიპს, რომ თითქოს რუსი ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას. ილიას მოუხდება რუსების მოგონილი „პოვოსკით“ მგზავრობა ბრიყვ რუს „იამშჩიკთან“ ერთად. თავდაპირველად ილიამ ჩვეულებრივი, დაბალი ფენის წარმომადგენელი რუსის სახე დაგვანახვა. იქნებ რუსული ელიტაა უკეთესი... რუსი ოფიცერი, რომლის სახის მეტყველებაც კი ამჟღავნებდა, რომ არაყს ძალიან „დაახლოვებით“ იცნობდა, ნამდვილად გაგვიცრუებს ამ იმედს. მისი ქედმაღლობა და სიბრიყვე, მისი „სიბრძნე“ ზედმიწევნით ასახავს რუსულ სინამდვილეს; როდესაც გაიგებს, რომ რუსეთის სამხედრო სამსახურში ქართველი გენერლების რაოდენობამ იმატა, აღტაცებას ვერ დამალავს – იქნება რამე გეშველოთ ქართველებს, ამდენი გენერალი რომ ეზრდება ჭეშმარიტ რუსულ კულტურასო. ოფიცერი თავის ნამდვილ სახეს ბუზების ამბის მოყოლითაც წარმოაჩენს.

„მგზავრის წერილებში“ ილიამ გამოააშკარავა ყველა ის პრობლემა და უბედურება, რომლებიც ქართველი ხალხის სულიერ და ხორციელ კვდომას მიანიშნებდა. პროგრამულ ნაწარმოებ „მგზავრის წერილებში“ დასმული თითოეული პრობლემა ილიამ მოგვიანებით განავრცო მთელ თავის შემოქმედებაში. ილიას შემოქმედებაში რუსეთს მხოლოდ ერთი სახე აქვს – დამპყრობლისა; ასევე კავკასიას ის წარმოგვიდგენს ერთი მხატვრული სახით. ილიამ მიაღწია მიზანს და გაუღვივა გულში ქართველ ხალხს იმედის ნაპერწკალი, თუმცა მარტო მაინც ვერ მოერია რუსული გავლენის ქვეშ მოქცეულ მოღალატეებს და ისევ ქართველის გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა იგი. პოემა „აჩრდილში“ კი ილია ჭავჭავაძემ გააჟღერა კავკასიელი ხალხების ერთობის ისტორიული იდეა და ფუნქცია და აღნიშნა, რომ მხოლოდ კავკასიური ერთობის შემთხვევაში შეძლებს საქართველო გზის გაკვალვას და დიდ ერთა შორის ერად დადგომას. კავკასიისა და კავკასიელი ხალხების ძმობისა და ერთობის, საერთო ისტორიისა და სატკივრის, საერთო კულტურისა და ღირებულებების სრული დადასტურებაა ალექსანდრე

ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედება. სწორედ ამიტომაც XIX საუკუნე ქართულ ლიტერატურაში არის ეპოქათა მიჯნა, შეპირობებული რეალური ისტორიული და გეოპოლიტიკური პროცესებით.

თავისთავად ძალზე საინტერესოა, აქვს თუ არა კავკასიელისა და ქართველის მხატვრულ სახეს რუსულ ლიტერატურაში ორგვარი რაკურსი... ეს კვლევის საგანია. XIX საუკუნეში რუსეთმა შეასრულა ევროპული იდეების საქართველოში შემომტანის, გამაშუალებლის როლი, რადგან ევროპის იდეა საქართველოში ამ საუკუნეში სწორედ რუსეთის გზით შემოვიდა. XIX საუკუნის დასაწისში რუსეთის მეფის სამსახურში მდგომმა ქართველმა თავად-აზნაურებმა დაიწყეს რუსულად თარგმნილი გერმანული ფილოსოფიისა და პოეზიის გაცნობა და საქართველოში შემოტანა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში ეროვნული მოძრაობისათვისაც ევროპის კარად კვლავ რუსეთი რჩებოდა. XIX საუკუნე იმიტომაცაა მიჯნა ეპოქათა შორის, რომ სწორედ XX საუკუნის დასაწყისში სიმბოლისტებმა („ცისფერი ყანწები“), პირველებმა, დაიწყეს საუბარი თანამედროვე ევროპისკენ არა სვლის შესახებ, არამედ არამედ საქართველოს „დაბრუნებაზე“ ევროპულ ცივილიზაციაში. მაგრამ ეს განწყობა სულ ცოტა ხანს იყო საქართველოში; საბჭოთა ძალაუფლების დამყარების შემდეგ ოფიციალური დოქტრინის მიხედვით 70 წელი მიიჩნეოდა, რომ „სოციალისტური მომავალი“ აზიაა და არა ევროპა. „პერესტროიკის“ პერიოდში კვლავ გაცოცხლდა ევროპულ სახლში დაბრუნების იდეა; ეს იდეა კი გამორიცხავდა რუსეთის „მხატვრული სახის“ პოზიტიურ კონტურებს, ვერც ევროპასთან გამაშუალებლის როლს შეასრულებდა რუსეთი და ეს არც იყო საჭირო საქართველოსთვის. თუმცა რუსული იდეოლოგიური მანქანის გავლენა გრძელდებოდა და გრძელდება ქართულ სინამდვილეზე. XXI საუკუნეში უკვე ცხადზე ცხადია რუსეთის ერთსახიანი აღქმა, რომლის ახლებურ სახისმეტყველებასაც „ელოდება“ ქართული მხატვრული აზროვნება.

ლიტერატურა:

ქართული მწერლობა (1992), ტ. 9, თბილისი.

ქართული მწერლობა (2007), ტ. 11, ილია ჭავჭავაძე, თბილისი.

ქართული რონამტიზმი (2012), ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი, https://rustaveli.org.-ge/res/-docs/aa9db338664ff77ca369354a08ca0ae7443080de.pdf

The report analyzes the bipolar tropology of Russia and the Caucasus in the Georgian literature of the XIX century, taking into account the historical reality and a comparative analysis of the literature. An attempt is made to explain what kind of changes in Georgian literature were caused by the loss of Georgian statehood in the early 19th century and the processes before which Georgia somehow closed its doors to the East under Georgievsky's treatise and became a member of a new geopolitical area; An attempt is made to explain how Georgian public opinion (the struggle of fathers and sons) was divided over Russia's entry and establishment in the Caucasus; What was the result of Georgia's voluntary or involuntary surrender of the history of its statehood in favor of universal Christian history? How it was reflected in Georgian literature that "Russian Orthodox Messianism" had nothing to do with Georgian Christianity and, moreover, with the Georgian national spirit.

The report analyzes the bipolar tropology of Russia and the Caucasus in the Georgian literature of the XIX century, taking into account the historical reality and a comparative analysis of the literature. An attempt is made to explain what kind of changes in Georgian literature were caused by the loss of Georgian statehood in the early 19th century and the processes before which Georgia somehow closed its doors to the East under Georgievsky's treatise and became a member of a new geopolitical area; An attempt is made to explain how Georgian public opinion (the struggle of fathers and sons) was

divided over Russia's entry and establishment in the Caucasus; What was the result of Georgia's voluntary or involuntary surrender of the history of its statehood in favor of universal Christian history? How it was reflected in Georgian literature that "Russian Orthodox Messianism" had nothing to do with Georgian Christianity and, moreover, with the Georgian national spirit.

The Georgian literature of the XIX century thoroughly reflected the ongoing cultural-civilizational processes at the crpossroads of epochs, the negative evaluation of the Georgian-Caucasian civilization by Russia and, consequently, the existing historical geopolitical reality. The literature reflected the crisis of the Georgian society due to the uncertainty in front of the civilized choice. I think that the invincibility of this civilizational crisis (and, especially, the assassination of Ilia) led to the short-lived independence of Georgia in the early 20th century and a new spiritual crisis with a civilizational crisis. The report describes the XIX century as an era of geopolitical changes and ways to reflect these changes and crises in Georgian fiction.